პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
კვირა
9
სექტემბერი
№ 209
(17554)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

„ყველა ბავშვის მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის“

ᲬᲘᲒᲜᲘ

წიგნს მილიონობით ადამიანის გონებასა და გულზე ზემოქმედების უდიდესი ძალა აქვს, — წერს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მოსკოვის საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი გაგზავნილ მისალმებაში.

ეს სიტყვები კაცობრიობის გულისთქმაა, იგი თითოეული ჩვენგანის გულშია ამოკითხული. წიგნი კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, პოლიტიკური ბრძოლის იარაღია, მისი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული საკაცობრიო კულტურის განვითარების ისტორიასთან.

დედამიწის, მზის, წყლის, ჰაერის, პურის თანაბრად განადიდებს ადამიანი წიგნს გაჩენის დღიდან, ამკობს ათასნაირი კეთილი ეპითეტებით; იგი ჰაერივით არის შემოსული ჩვენს ყოფიერებაში, ხიდია გულთა შორის, მეგზურია ცხოვრებაში, ცოდნის უშრეტი წყაროა.

წიგნი შრომის დროს აგვრია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარაო, თქვა ერთმა ჩვენმა ჩინებულმა პოეტმა. მართლაც, ღრმად თუ ჩავუკვირდებთ, მარტო აგური კი არ ემატება დიადი კომუნისტური მომავლის კედელს — წიგნიც მისი აღმასვლის სამსახურშია. ისტორიას შემოუნახავს არაერთი იმის ფაქტი, და ამის დამადასტურებელი მრავალი ექსპონატი შეიძლება ვნახოთ მუზეუმების სტენდებსა და თაროებზე, რომ სამოქალაქო თუ დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე საშშბლოს დამცველ ჯარისკაცებს მარტო ყუმბარით არ უულეტიათ შემოსეული მტერი. ყუმბარასთან გათანაბრებული ყოფილა წიგნი, მათ რომ უსწავლიათ, დაუხსომებიათ და შეუყვარებიათ, ყველაზე შთამაგონებელი კი შინიდან თან წამოუღიათ, ზურგჩანთაში ტყვია-წამალთან და პურთან ერთად სდებიათ. ბევრი ასეთი წიგნი ვიცით, მტრის ტყვიას, ბურვისა თუ ნაღმის ნამსხვრევს რომ დაუფლეთია. ომგადახდილი წიგნი, ბრძოლის ველზე მომხდურთა მოსაგერიებელ ყუმბარას რომ გასტოლებია, რადგან პატრიოტული გრძნობა აღუძრავს საბჭოთა მეომარში.

ჩვენ ვიცით და შევიყვარეთ წიგნები, კომუნიზმის შენებას რომ გვასწავლიან და შთაგონებით გვაშენებინებენ — გენიალური წიგნები ლენინისა, წიგნებად აკინძული ჭეშმარიტების საპროგრამო დოკუმენტები პარტიისა. სულ ახლახან კი ჩვენი თაობის შუადმივი თანამგზავრნი, მეგობარნი და მრჩეველნი, შრომასა და ბრძოლაში მხარდამჭერნი გახდნენ ლეონიდ ბრეჟნევის პანორამული, მასშტაბური, მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „უამირი“. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ამ წიგნების კოლექტიურ კითხვაში, არასრული მონაცემებით, წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების ახი ათასი წევრი მონაწილეობდა. ეს ნაწარმოებები სამაგიდო წიგნები გახდა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

„წიგნის პროპაგანდა მასებში — ეს დიდი პოლიტიკაა“, — აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მასების კომუნისტური აღზრდა კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, იგი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრობლემასაც კი უთანაბრდება. ამიტომაც არის, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვან საპროგრამო დოკუმენტთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია 1979 წლის 26 აპრილის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

განუზომელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის, მასში შემავალი გამომცემლობებისა, პოლიგრაფიული ბაზისა და წიგნის ვაჭრობის ქსელის როლი ისეთი იდეოლოგიური იარაღისა და მასების აღზრდის უნიკალური საშუალების გამოყენების, გავრცელებისა და პროპაგანდის საქმეში, როგორიც წიგნია. სოფლად წიგნის ვაჭრობას უძღვება და დიდად სასარგებლო საქმეს აკეთებს „ცეკავშირი“. იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი არმია გახდა საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, რომლის არსებობის მე-5 წლისთავს მალე აღვნიშნავთ. საზოგადოების წევრთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღწევს, პირველადი ორგანიზაციისა — 6678-ს.

პოლიტიკური წიგნის გამოფენა დეკენბერ: „გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუცია“; ტექნიკური წიგნის გამოფენა: „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და გარემოს დაცვა“; სახალხო დღესასწაულები: „შთაობა“, „ილიობა“, „გარეჯობა“; წიგნების საჯარო განხილვა, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები გამოჩენილ მწერლებთან, — ასეთია საზოგადოების მიერ ბოლო დროს გაწეული მასობრივი მუშაობის არასრული სურათი. მკითხველები, მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, რომელიც მაიაკოვსკში გაიმართა თემაზე „ბიბლიოთეკა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“. ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ეწყობა წიგნის დეკადები და გამოფენები. მოეწყო გერმანული წიგნის გამოფენა, ორჯერ — პოლონური წიგნის გამოფენა-გაყიდვა, ესტონური და ბელორუსული წიგნის გამოფენები; სამაგვო ნოსელან წიგნის ზეიმის კვირეული. ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ წიგნის ზეიმის კვირეულში, რომელიც ივნისში გაიმართა, 6 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. ამ საკითხს მიეძღვნა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის სპეციალური პლენუმი. „კომკავშირი და წიგნი“, — აი ერთ-ერთი კონფერენციის თემა; მოეწყო შეხვედრა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდა მწერლებთან. აქ დიდი და საინტერესო სკკპ-ბაასი გამოიწვია თემამ — საბჭოთა ლიტერატურა მომძღვარ ეროვნებათა მეგობრობის ლიტერატურაა. ჩვენი სახელოვანი ქართველი მწერლები ობილისის საქვეყნოდ ცნობილ აბრეშუმის გაერთიანებაში რამდენჯერმე შეხვდნენ წარმოების მოწინავე ახალგაზრდებს. „შრომის გმირი თანამედროვე წიგნის გმირია“ — აი რა იყო მათი საუბრის თემა.

დიდ ინტერესს იწვევს სახალხო უნივერსიტეტი „წიგნი“; წიგნის ლექციურ პროპაგანდას ეწევა ლექტორთა ჯგუფი; წიგნის დიდი სიყვარულის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკურ საზოგადოებასთან შექმნილია საწარმოო კომბინატი, რომელიც ... [illegible] ... ეხმარება ... [illegible] ... ბეჭდვა-ბაზრობა, ... [illegible] ... ეროვნულ ... [illegible] ... ეროვნულ ... [illegible] ... ეროვნულ

გამოცდილება • „კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

თუ გული გულობს...

პირდაპირ ვიტყვი: სოციალისტური საქართველოს სახალხო მეურნეობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი მძლავრი აღმავლობის გზაზე, როგორც ახლა. ეს ძლიერება ხომ ჩვენი მშრომელების ხელით დღითიდღე იჭედება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმების განუხრელი და ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

დღეს ჩვენს ამ ბრძოლას ლენინური კურსით უნარიანად წარმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც რაიონული რგოლის ხელმძღვანელებისაგან სავსებით კანონიერად მოითხოვს მეურნის თვალით შეხედონ რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის განხორციელებას.

ამ სახალხო ბრძოლაში ჩვენ სულ უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს, ვცდილობთ რაციონალურად გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც ჩვენს რაიონს აქვს და, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მიგვითითებს, „მთელი მუშაობის ცენტრში უნდა დავაყენოთ წარმოების საბოლოო შედეგებზე ორიენტაცია, მათი მიღწევის უფრო ეფექტიანი და ეკონომიური გზების ძიება“.

ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას უთმობს ადგილებზე არსებული რეზერვების გამოვლენისა და სახალხო მეურნეობაში მათი ეფექტიანად ამოქმედების საკითხებს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას მეტი მიზანსწრაფულობა შემატა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიმდინარე წლის ერთობლივმა დადგენილებამ „წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ“.

პარტიის რაიკომის ბიურომ, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ დოკუმენტის დროულ და ხარისხიან რეალიზაციას, რომელიც მყარ საფუძველს გვიქმნის რაიონის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში არსებული ჩამორჩენის დაძლევისა და მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში, დაამტკიცა ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა.

შემუშავებული გეგმის განხორციელებისათვის შევქმენით დათვალიერების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია, მუშაობის ოპერატიულობისათვის კი ქვეკომისიები, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.

გეგმის შესაბამისად, დროულად გავაკანონეთ ძირეული რგოლებს დათვალიერების მიზანი და ამოცანები, უშუალოდ ადგილებზე ყველა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციაშიც შევქმენით ანალოგიური კომისიები, რომლებიც გაწევენ მუშაობის შესახებ პერიოდულად აბარებენ ანგარიშს რაიონულ კომისიას ან მის ქვეკომისიებს.

უკვე ივლისში რაიონის სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. გაიმართა საფუძვლიანი საუბარი არსებულ რეზერვებზე, ყაირათიანობასა და მომჭირნეობაზე. არანაკლები ყურადღება დაეუთმეთ სამეურნეო გეგმების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს. ამ მიმართულებით რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკები, რაიონული „ბორჯომი“ ენერგოელად და საქმის ცოდნით ეწევიან ახსნა-განმარტებითს მუშაობას ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რაზმავენ მათ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

დათვალიერების მიმდინარეობაზე დაფებითს გავლენას ახდენს სტამფილიერების ფორმების შემოღებაც. ორგანიზაციები, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ დათვალიერებაში, დაჯილდოვდებიან პარტიის ბორჯომის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და კომკავშირის ბორჯომის რაიკომის სგელებით, გამოიყოფათ საგზურები სანატორიუმებში დასვენებისა და ტურისტული მოგზაურობისათვის.

საწარმოო რეზერვების ძიებისას პარტიის რაიკომი ძირითად ყურადღებას უთმობს ადგილობრივი რესურსების გამოვლენა-გამოყენებას. აქვე დავსძენ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტისას ჩვენ მარტო ადგილობრივ ინტერესებს კი არ ვითვალისწინებთ, არამედ საერთო რესპუბლიკური მიზნები გვამოძრავებს. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ შიდა რეზერვების გამოვლენის საქმეში რაიონის მშრომელთან ერთად მხარდამხარ იბრძვიან რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექტივები. შედეგიც საუკეთესო გვაქვს.

მაგალითად, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობათა და სპეციალისტთა აქტიური დახმარებით რეალურად დაისახა საუკეთესო სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყლის „მიტარბის“ სამრეწველო ჩამოსხმის შესაძლებლობა, რაც უკვე მიმდინარე ხუთწლედში საშუალებას მოგვცემს ორი მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია ვაწარმოოთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საწარმოო გაერთიანება „ბორჯომში“ მომქმედი სამძღვავრეები საშუალებას გვაძლევენ კიდევ უფრო გავზარდოთ წარმოების მოცულობა. მაშასადამე, ჩვენ გვმართებს საერთო ძალებით შევისწავლოთ მეზობელ რაიონებსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში მრავალად არსებული მინერალური წყლების გაერთიანების ქარხნებამდე მიმავალი ტრანსპორტირების საკითხი მათი შემდგომი ჩამოსხმისა და მომზმარებლისათვის მიწოდების თვალსაზრისით.

ჩვენ ერთობ საქმიანი მხარდაჭერა გაგვიწიეს ავრეთვე სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მუშაკებმა რესპუბლიკისათვის ახალი ტიპის სამშენებლო ნაკეთობების — ხის წებოვანი კონსტრუქციების გამოშვების ათვისების საქმეში. მათ წარმატებით იყენებენ სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სპორტული და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე. სრული ტექნოლოგიური ციკლისათვის საჭირო დანადგარები დღეისათვის უკვე ადგილზე გვაქვს, მომზადებულია შესაბამისი კადრებიც.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მცირე მოცულობის გამო (რომელთა დაწყება-დამთავრება წლეულს არის გათვალისწინებული) უკვე მაისისათვის 300-400 ათასი მანეთის კონსტრუქციების დამზადებას ვვარაუდობთ. ამავე სამინისტროსთან ერთად დადებითად წყდება საკითხი მსუბუქი ბეტონის შემავსებლის კარიერის გახსნის თაობაზე, რის შედეგადაც დამატებით მივიღებთ 150-200 ათასი მანეთის პროდუქციას.

მომავალი წლიდან 300-400 ათასი მანეთის დამატებით შემოსავალს მოგვცემს ტაბაწყურის მიდამოებში აღმოჩენილი მოსაპირკეთებელი ქვის დამუშავებაც.

ჩვენი აზრით, რაიონში შესაძლებელია დამატებითი რეზერვების ამოქმედება სამშენებლო მასალების გამოშვების ზრდის გზით. მიმდინარე წლის მესამე კვარტალის ბოლოსათვის, ვფიქრობთ, ავამოქმედოთ სოფელ ზანავში საკომეეურნეობათაშორისო გაერთიანების საკოსმეტიკო ქარხანა, რომელიც შეძლებს უკვე წელს 450-500 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვას.

ჩვენი რეგიონის საწარმოო რეზერვად გვესახება ბაკურიანის მენადიერეობის საბჭოთა მეურნეობის მიერ მელიის ბეწვის წარმოების საკითხის შემდგომი დახუსტება, რაშიც საჭიროა შესაბამის რესპუბლიკურ ორგანოთა დახმარება. საქმე ის არის, რომ მეურნეობიდან მელიის ბეწვები ნახევარფაბრიკატის სახით შემდგომი დამუშავებისათვის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იგზავნება, გარდაბნის რაიონში დისლოცირებულ „ქურქ-ბეწვეულის“ საწარმოში მომქმედი სამძღვარეები კი დაუტვირთავია. არის მეორე ვარიანტიც: თვით მეურნეობასთან აშენდეს ბეწვის საბოლოო დამუშავების საამქრო, რაც მცირე კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს. თუ საკითხის ნებისმიერი ვარიანტი დადებითად გადაწყდა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად დამატებით მიიღებს, მეურნეობის დღეკანდელი შესაძლებლობების გათვალისწინებით, 1,5-2 მილიონი მანეთის პროდუქციას, ხოლო თუ საბჭოთა მეურნეობა რეკონსტრუქციებულ იქნა — გაცილებით მეტსაც.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რაიონის ზოგიერთ საწარმოს მიმდინარე ხუთწლედის პირველ ოთხი წლის გეგმებისა და 1980 წლის გეგმის პროექტის მიხედვით ზემდგომი ორგანოებიდან ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულზე შესამჩნევად ნაკლები დავალებანი მიეცა. სამწუხაროდ, ხუთწლიან გეგმებში კორექტირება მხოლოდ და მხოლოდ შემცირებისაკენ ხდება. ეს გარემოება კი, ცხადია, სიძნელეებს გვიქმნის 1980 წლისათვის დაგეგმილი ზრდის ტემპის მისაღწევად. მარტო კვების მრეწველობის, დამზადებისა და მშენებლობის სამინისტროებისა და საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ რაიონში დისლოცირებულ ორგანიზაციებში საერთო სხვაობა 4,6 მილიონ მანეთს შეადგენს. ამიტომ 1980 წლის გეგმის პროექტი თხოულობს სათანადო გადასინჯვას. ეს იმიტომაც, რომ ხორცისა და რძის, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა კომბინატების, ბაკურიანის ანდეზიტის წარმოების სიმძლავრენი არ არის დატვირთული.

ჩვენ სრულიადაც არ გვგონია, თითქოს წარმოების რეზერვების ეფექტიანი გამოყენების, მომჭირნეობისა და ყაირათინობის რეჟიმის გაძლიერების საქმეში მიღწეული გარკვეული წარმატებანი თვითდამშვიდების უფლებას გვაძლევდეს. არ დავმალავ, რომ მშენებლობასა და ტრანსპორტზე ჯერ კიდევ სათანადოდ არ ინერგება მოწინავე გამოცდილება, ბევრგან მოიკოჭლებს შრომის ორგანიზაცია, შესაძლებელია საშენ მასალათა დანაკარგების შემცირება, ავტომობილების ბრუნვადობის დაჩქარება და მათი დატვირთვის გაზრდა, ძალზე დაბალია ზლობინელთა მეთოდით მომუშავე ბრიგადების ხვედრითი წილი მშენებლობებზე.

ნაკლოვანებანი არსებული რეზერვების სრულად გამოვლენისა და ამოქმედების საქმეში განსაკუთრებით შეინიშნება სოფლის მეურნეობაში. მეცხოველეობა ჩვენთან წამყვანი დარგია და უპირატესად სწორედ აქ უნდა ვეძიოთ და გამოვავლინოთ კიდეც რეზერვები. შევნიშნავ, ჩვენთან შესაძლებელზე დაბალია ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა, დამზადებულ საერთო რაოდენობაში დიდია მჭლე და საშუალო ნასუქი პირუტყვის ხვედრითი წილი, ასევე მცირეა ერთ ფურზე საშუალო ნაწველი და სადღეღამისო წონამატება, გასაუმჯობესებელია ჯოგის სტრუქტურაც.

ჩვენ სახელმძღვანელოდ მივიღეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითება, რომ „ბორჯომის რაიონი უნდა იქცეს სამთო მეცხოველეობის კლასიკურ რაიონად“.

როგორც ცნობილია, მეცხოველეობაში წარმატებათა მოპოვებისა საფუძველია საფუძველია მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამ თვალსაზრისით რაიკომის ბიუროს მიერ განხორციელებული ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგად სათიბებში, რომ იტყვიან, ქუდზე კაცი გამვიდა. წელს განსაკუთრებით შემჭიდროებულ ვადებში და, რაც მთავარია, ხარისხიანად ჩაიდო 15.446 ტონა სენაჟი, გეგმა-დავალებაზე 446 ტონით მეტი. რაიონში პირველად ზეგავწეიეთ 16 ათასტონიან მიჯნას, სენაჟის დამზადება ვალავაც გაგრძელდება და ვვარაუდობთ, რომ საბოლოო მაჩვენებელი 18 ათასი ტონის ფარგლებში იქნება.

საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის სათანადო ყურადღება დაეთმობა ახალი მიწების ათვისებას, არსებული სათიბების ძირეულ და ზედაპირულ გაუმჯობესებას, ორგანული სასუქების ფართოდ გამოყენებას და არსებული წყლის რესურსების გათვალისწინებით მცირე მელიორაციის ფართო დანერგვას.

მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ტაბაწყურის კომპლექსის მშენებლობის დამთავრების უზრუნველსაყოფად მომდინარე წლის მესამე კვარტალში, გეგმით გათვალისწინებულზე სამი თვით ადრე.

აი ნაწილი იმისა, რის გაკეთებაც ბოლო პერიოდში შევძელით.

პარტიის რაიონული კომიტეტი ადგილობრივ საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად, პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით დღენიადაგ იზრუნებს იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ ეხვედებით წარმოების რეზერვების ეფექტიანი გამოყენების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების საქმეში, ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ რაიონის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ცალკეულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა წარმატებას მიაღწიონ რესპუბლიკურ დათვალიერებაში, რათა ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

ი. ბურბენიძე,
საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲛᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

7 სექტემბერს თბილისში გაიმართა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. წარმომადგენელთა [illegible] ... ისაუბრეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ხიზანიშვილმა.

საბჭოთა ავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ყანჩაველის მოხსენებაში, სხვა ორატორების გამოსვლებში აღინიშნა, რომ სამანახევარი ათწლეულის წინათ ბულგარეთში მომხდარი სოციალისტური რევოლუცია ისტორიული მონაპოვარია ამ ქვეყნის მშრომელებისა.

ავრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს სოფიაში ბულგარეთ-საბჭოთა ავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სსრ ავშირში.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

7 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მიიღეს თბილისში ჩამოსული სსრ ავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მწერალთა ბათუმის შეხვედრის მონაწილენი. მათ მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. გაიმართა მეგობრული საუბარი.

ბათუმის შეხვედრის თანათავმჯდომარეებმა — სსრ ავშირის მწერალთა ავშირის გამგეობის მდივანმა, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ მთავარმა რედაქტორმა ნ. ფედორენკომ და ჟურნალ „სათერდეი-რევიუს“ რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჯეზინსმა დიდი მადლობა გადაიხადეს ბათუმის შეხვედრის ჩიენებული ორგანიზაციისათვის, გულღრმა მასპინძლობისათვის.

ᲒᲐᲠᲨᲕᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ

საფრანგეთის განათლებისა და კულტურის ორგანოების წარმომადგენლები ოთხ დღეს იკვლევენ სტუმრად თბილისში, ისევე როგორც მეორე ასეთი სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფის წევრები, რომლებიც ესტონეთის სს რესპუბლიკას ეწვევნენ, ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან იმ ღონისძიებათა პროგრამის შესაბამისად, რომლებსაც აწყობს „სსრ ავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ ავშირის“ საზოგადოებასთან ერთად ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით.

საფრანგეთის განათლებისა და კულტურის მუშაკთა ჯგუფი საზოგადოების გენერალური მდივნის მოადგილის მონიკ პარის ხელმძღვანელობით მიიღო საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ჭინჭარაძემ.

საფრანგეთის განათლებისა და კულტურის ორგანოების წარმომადგენლებს ბევრგან მოუწყეს შეხვედრა. ისინი ეწვევნენ თბილისის პირველ საშუალო სკოლას, № 53 საბავშვო ბაგა-ბაღის, ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლას, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს, ეჭსკურსია მოაწყეს მცხეთაში.

7 სექტემბრს სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფი, რომელსაც მოგზაურობაში ახლავს „სსრ ავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. პავლოვი, თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. (სპეცინფორმი).

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ • „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ — ᲘᲤᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐᲖᲔ

ᲘᲤᲔᲕᲡᲙᲘ, 7 სექტემბერი. (საკ. დისი). დღეს აქ გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც ქალაქ იფევსკისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემას მიეძღვნა.

სხდომის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში აღფრთოვანებით აღიჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მან შეკრებილთ მიულოცა სამშობლოს მაღალი ჯილდო.

დასასრულ ამხანაგმა დ. თ. უსტინოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იფევსკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში მაღალი ჯილდო მიბანია ქალაქის დროშას.

ამხანაგ დ. თ. უსტინოვის სიტყვა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაში გამარჯვებული სპორტსმენები და პრიზიორები.

სპარტაკიადის ჩემპიონები:

ირინე გაბაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, **საიდა გუნბა** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, **ოსსებ მაღალაშვილი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **თეიმურაზ მატოიანი** — სამხედრო მოსამსახურე, **მიხეილ სალაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **პაატა შამუგია** — სამხედრო მოსამსახურე, **პეტრე შევარდოვი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **ლიანა ცოტაძე** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი. **რამაზ ხარშილაძე** — სამხედრო მოსამსახურე, **თეიმურაზ ხუბულური** — სამხედრო მოსამსახურე.

სპარტაკიადის პრიზიორები:

ვალერი არუთინოვი — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტი, **ოთარ იოსელიანი** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **ალადაშ ნენგელია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **ვლადიმერ ისელიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **დავით კვაჭაძე** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ქარიშხალას“ რესპუბლიკური საბჭოს კრივში ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის დირექტორი, **გიორგი კოლუაშვილი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, **თამაზ კუტივაძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **ნოდარ კურტანიძე** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **ქეთევან ლოსაბერიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, **თამაზ ნამგალაური** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი სპორტში, **დათო რურუა** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, **ზურაბ ქოიავა** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, **ამირან ხიზანიშვილი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, **დავით ჯაგაშვილი** — არმიის სპორტული კლუბის ინსტრუქტორი სპორტში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წარმატებით გამოსვლისათვის და 1978 წელს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისა და 1979 წელს ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მოპოვებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფეხბურთელები და მწვრთნელთა შემადგენლობა:

ოთარ გაბელია, დავით გოგია, ვლადიმერ გუცაევი, ვიტალი დარახელია, შანუჩარ მაჩაიძე, გოჩა მაჩაიძე, დიმიტრი მუჯირი, ფირუზ კანთელაძე, ნუგზარ კაკილაშვილი, თამაზ კოსტავა, ვახტანგ კოპალეიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ვახტანგ ქორიძე. დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ალექსანდრე ჩიკვაძე, რევაზ ჩელებაძე, გიორგი ჭილაია, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, სერგი კუტელაძე, გივი ნოდია, ზაქარია თელია, აკაკი ხუციშვილი, თენგიზ მაჭავარიანი, ანზორ გაბიტაშვილი.

ᲙᲐᲛᲙᲣᲖᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲯᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 8 სექტემბერი. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ყველა ქვეყნის ხალხებს მოუწოდა დაუყოვნებლივ დახმარება გაუწიონ კამპუჩიის მრავალტანჯულ ხალხს.

პოლ-პოტის ბარბაროსულმა რეჟიმმა, რომელიც გენოციდის პოლიტიკას ახორციელებდა, ნათქვამია აქ გავრცელებულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში, წინასწარგანზრახულად გაქელიტა სამი მილიონი კამპუჩიელი, მამაკაცები, ქალები, მოხუცები და ბავშვები. ქვეყნის ეკონომიკა პრაქტიკულად მთლიანად დაინგრა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა ყველა ქვეყნის ხალხებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ქალთა, ახალგაზრდულ და რელიგიურ ორგანიზაციებს შეაგროვონ სახსრები, დაეხმარონ სურსათით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, გაუგზავნონ ისინი კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიან ფრონტს.

3. ᲑᲠᲐᲜᲓᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 8 სექტემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა განაცხადა, რომ უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს მშვიდობის აქტიური უზრუნველყოფის პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკის შედეგად, წერს ვ. ბრანდტი ყოველკვირეულ „სოციალ-დემოკრატ მაგაცინში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მშვიდობა ევროპაში კიდევ უფრო განმტკიცდა, შემცირდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ომის წარმოქმნის საშიშროება.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲖᲔ

ᲙᲐᲛᲙᲣᲖᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲯᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 8 სექტემბერი. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ყველა ქვეყნის ხალხებს მოუწოდა დაუყოვნებლივ დახმარება გაუწიონ კამპუჩიის მრავალტანჯულ ხალხს.

პოლ-პოტის ბარბაროსულმა რეჟიმმა, რომელიც გენოციდის პოლიტიკას ახორციელებდა, ნათქვამია აქ გავრცელებულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში, წინასწარგანზრახულად გაქელიტა სამი მილიონი კამპუჩიელი, მამაკაცები, ქალები, მოხუცები და ბავშვები. ქვეყნის ეკონომიკა პრაქტიკულად მთლიანად დაინგრა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა ყველა ქვეყნის ხალხებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ქალთა, ახალგაზრდულ და რელიგიურ ორგანიზაციებს შეაგროვონ სახსრები, დაეხმარონ სურსათით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, გაუგზავნონ ისინი კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიან ფრონტს.

ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 8 სექტემბერი. ისრაელის ქალაქ ჰაიფაში დამთავრდა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინისა და იქ ვიზიტად მყოფი ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის სეპარატული მოლაპარაკება.

სათვალავით მერვე ამ შეხვედრის დროს ბეგინმა და სადათმა შეთანხმეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ეგვიპტე-ისრაელს შორის დადებული „საზავო“ ხელშეკრულების განხორციელება და კიროსა და ტელ-ავივს შორის სამხედრო-სტრატეგიული ალიანსის დაჩქარებით შექმნა. ისევე როგორც ბეგინთან წინა შეხვედრების დროს, სადათმა ამჯერადაც კიდევ რამდენჯერმე არსებითად დაუთმო თავის ახლადგამომცხვარ „მოკავშირეს“.

დღეს ჰაიფში ისრაელის გაზეთებისა და ჟურნალების მთავარ რედაქტორთა წინაშე სადათმა პირობა დადო, რომ ნილოსის წყლებს მისცემს ისრაელს ნეგევის უდაბნოს მოსარწყავად. ბეგინმა და სადათმა გადაწყვიტეს საფრანგეთის ორდენებითა და მედლებით.

1977 წელს პ. პუიადს გადაეცა „ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის მედალი, რაც მისი დიდი წვლილის აღიარება იყო მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავების, საფრანგეთისა . და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განვითარების საქმეში.

ბაკ-საკდესის ფოტო.

9 სექტემბერი ბულგარეთის თავისუფლების დღე

35 წლის წინათ, 1944 წლის 9 სექტემბერს, როცა საბჭოთა არმია ძლევამოსილად უტევდა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ბალკანეთში, ბულგარეთში მოხდა სოციალისტური რევოლუცია. ეს იყო სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბულგარელი ხალხის გმირული ბრძოლის ბრწყინვალე დაგვირგვინება.

სურათებზე: ზემოთ — ვარნის სატუსაღლოს პოლიტპატიმრები მეესამემეათიან ფაშიზმის უღლისაგან სამშობლოს ხსნას (1944 წლის 8 სექტემბერი); ქვემოთ — ბულგარეთის მიწაზე საბჭოთა არმიის უბადლო გმირობის აღსანიშნავად სოფიის ცენტრში აღმართულია ობელისკი წარწერით: „საბჭოთა განმათავისუფლებელ არმიას მადლიერი ბულგარელი ხალხისაგან“.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲞᲘᲔᲠ ᲞᲣᲘᲐᲓᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გარდაიცვალა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე პიერ პუიადი, სახელგანთქმული საავიაციო პოლკის „ნორმანდია-ნემანის“ ყოფილი მეთაური.

1943 წელს იგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ფრანგი მფრინავების ჯგუფის შემადგენ

ნ. ფედორენკო

ქვეყანა, სადაც ხორცს ისხამს ხალხის ოცნება



როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირ-ამერიკის მწერალთა ბათუმის შეხვედრა გახსნა ამ შეხვედრების უცვლელმა თანამგზავრმა საბჭოთა კავშირის მხრიდან, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ მთავარმა რედაქტორმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნიკოლოზ ფედორენკომ.

ქვემოთ ვბეჭდავთ ნ. ფედორენკოს გამოსვლის ნაწყვეტს.

კატივცემულო კოლეგებო! ქალაქი ბათუმი, სადაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით და რომელიც ჩვენი შეხვედრების ადგილი გახდა მოსკოვისა და ნიუ-იორკის შემდეგ, დაარსდა კოლხეთად წოდებულ ძველ ქართულ მიწა-წყალზე, რომელსაც არაერთხელ იხსენებს ჰომეროსი „ილიადაში“. ბათუმის მახლობლად აღმართულია მრავალი კავკასიონის მწვეტვალები, სადაც, გადმოცემით, ელდენი მიაჯაჭვეს ღმერთებთან ებრძოლი პრომეთეოსი, რომელმაც ადამიანების საკეთილდღეოდ ოლიმპოზე ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა.

აქვე ოქროს საწმისისათვის ჩადოვიდნენ არგონავტები. ეს არის ბათუური მედეას სამშობლო, რომელზეც ორი ათასი წლის წინათ შეექმნა ამაღელვებელი და შთამბეჭდავი კლასიკური ტრაგედიები.

საქართველო ლეგენდების ქვეყანაა, სავსე საოცარი სანახებით, სადაც გაისმის დიადი სიბრძნის სიმღერები.

ქართველები დასაბამიდან მღერიდნენ მთაში და ბარში, შინ და გარეთ. და ვისაც კი მათთვის მოუსმენია, უგრძვნია კაცური სიცოცხლის სიხარული და ბუნების სიშვენიერე, წინაპართა სიბრძნე და მათი სულის ძვრები.

შარშან ჩვენმა მასპინძლებმა, ქართველმა მწერლებმა, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად აღნიშნეს შესანიშნავი ნაწარმოების — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ მე-1500 წლისთავი.

მე-12 საუკუნის გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე, მათ შორის რამდენერმეა თარგმნილი ინგლისურ ენაზე.

აქარა, რომლის დედაქალაქიც ბათუმია, ძველი ქართული მიწა-წყალია, რომელმაც ახლახან იზეიმა უცხო დამპყრობთა 300-წლოვანი ბატონობისაგან განთავისუფლებისა და დედახალქართველოსთან შეერთების მე-100 წლისთავი.

საქართველო პოეზიისა და პოეტების ქვეყანაა. მშობლიურ და მრავალ ენაზე ამაყად ეღერს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ლექსები. ყველას ამათთვის შორს წაგვიყვანდა. ალბი თავის საყვარელ პოეტებს მხოლოდ სახელით იხსენებს: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი.

ნება მიბოძეთ, კიდევ რამდენიმე თანამედროვე პოეტი და მწეარალი დავასახელო. დავამყოფიდები მხოლოდ იმ ქართველი წერლებისა და პოეტების ჩამოთვლით, რომლებიც დღეს ჩვენს დისკუსიაში მონაწილეობენ. ესენი არიან გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ონეშვილი, ფრიდონ ხალვაში, ნოდარ დუმბაძე, რომელსაც ვიცნობთ როგორც პოეტს, პროზაიკოსსა და სატირიკოსს.

მე არ ჩამოვთვლი საქართველოს თანამედროვე, არანაკლებ ცნობილ მწერლებსა და პოეტებს. ეს განპირობებულია დროის ფაქტორითა და აგრეთვე იმის სურვილით, რომ მათ თბილისში და სხვა ქალაქებში გავეცნობით, რომლებსაც, იმედია, ვეწვევით.

მწერალი საქართველოში მუდამ ხალხის წინამძღოლი, მებრძოლი, აქტიური მოღვაწე იყო. სწორედ ამიტომ 100 წლის წინათ განთავისუფლებულ ბათუმში პირველი ეროვნული სკოლა გახსნა ილია ჭავჭავაძემ — დიდმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ.

საქართველოსთან არის დაკავშირებული გენიალური რუსი პოეტების პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და სხვათა სახელები. აქ, ბათუმში, დიდმა რუსმა დრამატურგმა ალექსანდრე ოსტროვსკიმ ზღვისპირა პარკში მაგნოლია დარგო. ეს მძლავრი ხე ახლაც, თითქმის ასი წლის შემდეგ, ამაყად დგას.

ცნობილია აგრეთვე, რომ თბილისში მაქსიმ გორკიმ დაბეჭდა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. ბათუმში ჩამოდიოდნენ ანტონ ჩეხოვი და სხვა რუსი მწერლები. სწორედ ამ ქალაქში 1924-1925 წლებში სერგეი ესენინმა შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის „ანა სნეგინა“ და „სპარსული მოტივები“. 1921 წლიდან აქ ხშირად ჩამოდიოდა ნიკოლოზ ბუნდგაკოვი, რომელმაც აქ დაწერა პიესა „ბათუმი“.

ქალაქში, სადაც ჩვენ სტუმრად ვიმყოფებით, ყოფილან რაბინდრანატ თაგორი, ანრი ბარბიუსი, თეოდორ დრაიზერი და სხვები. 1948 წელს ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლს „ოიდიპოს მეფეს“ დაესწრო ჯონ სტეინბეკი, რომელმაც შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში სანაქებო რეცენზია გამოაქვეყნა ამ დადგმის გამო.

მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ ბათუმი, საქართველოს ეს ძველთაძველი ქალაქი, მარტო ქართველი მწერლების შემოქმედებას როდი უწყობდა ხელს. ეგებ ჩვენს აქაურ შეხვედრასაც თავისი ისტორია ექნეს. ვინ იცის, გავა დრო, და ჩვენი შეხვედრა თქმულებად იქცევა, რომელშიც მკვლევარები ნამდვილი ამბების გამოძახილს მოძებნიან.

ასეთია საქართველოს ლიტერატურული პროფილი. ასეთია მისი მიწა-წყალი, მისი ხალხი, ძველი ლეგენდები, რომლებიც ადამიანის ძლიერებაში, მისი ძალის უძლეველობაში გარწმუნებთ. ჩვენ წინაშეა საქართველო, მისი ცა, ოქროთი მოვარაყებული მთების ზღაპრული მწვერვალები, რომლებიც აღიქმება, როგორც ჩვენი საოცარი პლანეტის ნაწილი. უკიდეგანო ზღვა, ტროპიკული მცენარეულობით დაფარული სანაპირო, ცამდე აწვდილი ნაძვები და კვიპაროსები. თვით ბუნებას უზრუნია თავისი ქმნილების სრულყოფისათვის. ნუთუ ადამიანი არ იზრუნებს და ვერ შეძლებს შეინარჩუნოს ეს სასწაული? აქ მრავალი რამ არის ხილულისა და უხილავის ზღვარზე. და თუ ამ ზღვარს ყურს მივადებთ, გვიგონებთ ბუნების ხმას, მცენარეთა სუნთქვას, ქვის მუსიკას.

მაგრამ საქართველო მარტო წარსულით როდი ბრწყინავს. განუზომელია მისი წარმატებები დღეს.

საქართველო — ეს არის ქვეყანა, სადაც ხორცს ისხამს ხალხის ოცნება, სადაც სულ უფრო იზრდება ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების შესაძლებლობანი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის სულიერი სიმდიდრე, ზნეობრივი სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

□

სურათზე: საბჭოთა კავშირ-ამერიკის მწერალთა ბათუმის შეხვედრის თანთამამჯდომარე ე. ბ. ნორმან კაზინსი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ნიკოლოზ ფედორენკო (სსრ კავშირი).

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმი).

დარწმუნებული ვარ, ჩხერში ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით ნაკლები „ცა“ მოდის, ვიდრე სადმე სხვაგან. აქ ზეცა მთებშია მოქცეული, აქ არ იციან, რას ნიშნავს აისი და დაისი ამ სიტყვების ჩვეულებრივი მნიშვნელობით. მზე ერთი მთის კენწეროდან გამოჩნდება და მეორეს მიეფარება, როცა ირგვლივ ჯერ კიდევ სინათლეა.

მაგრამ, ვაი რომ, ჩხერში ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით ნაკლები მოდის „გამოსადეგი“ მიწაც.

რამდენიმე წლის წინათ აქ შეეხვედი ერთ მიამიტ კახელ გლეხს, რომელიც სტუმრად ჩამოსულიყო ნათესავთან... იგი ნაღვლიანად გასცქეროდა ვენახებსა და სიმინდის ყანებს, ციცაბო ფერდობებზე რომ შეფენილიყო, მთებს, ჰორიზონტს რომ ფარავდა, და განუწყვეტლივ იმეორებდა: „ვერ გამიგია, როგორ ცხოვრობენ აქ, ვერ გამიგია, როგორ უნდა იმუშაო აქ“. ულაყებში ეცინებოდა, როცა შეიტყობდა, რამდენ ყურძენს (და როგორი შაქრიანობისას) კრეფენ აქ ჰექტარზე და რამდენ რძეს იძლევა წელიწადში ადგილობრივი მთის ფური.

... სულ უფრო მაღლა მიიწევს მთაში ჩხერის მთავარი პროსპექტი. მომიტევეთ, თუ ცოტა არ იყოს გავაზვიადე — აქაურ კაცს არ შეუძლია, როცა თავის სოფელზე ლაპარაკობს, რამდენადმე არ გაზვიადოს. იქნებ, „მთავარი პროსპექტი“ არც ისე ზუსტი გამოთქმა იყოს. შეგვიძლია ვთქვათ პირდაპირ „პროსპექტი“; უკეთესია: „ქუჩა“. მაგრამ თუ ზუსტად გინდათ — ერთადერთი ორღობე, რომელშიც ძველად დიდი უბედურება იყო, თუ დაინახავდით, რომ რომელიღაც ციშერიდან ურემი გამოდიოდა, ახლა კი ავტომობილი: რომელიღაცას უკან-უკან მოუწევს სიარული.

მიხარია — მშობლიურ სოფლებს უბრუნდებიან ჩემი ძველი მეგობრები: თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, იშენებენ სახლებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თვითონ ჩხერელები აშენებენ — დინჯად, მკვიდრად, სამმავლოდ. ახლა უკვე ძველებურად ძნელი არ არის (ეს არ ნიშნავს, თითქოს „ადვილი“ იყოს) საშენი მასალის, ქვის, შიფერისა და მინის შეძენა. რაც შეეხება ხელოსნებს, მათი ნაკლებობა აქ არასოდეს ყოფილა.

ჰოდა, მიეკვეთნი ჩხერის პროსპექტს და მახარებს არა მარტო ის, რასაც ვხედავ, არამედ ისიც, რაც მესმის. მესმის ბავშვების ერიამული. ამდენი ბავშვი, ამდენი ბიჭუკუბობა ჩხერში არასოდეს არ ყოფილა.

იზრდებიან ყმაწვილები. ვინ იქნებიან ისინი, მომავალი ჩხერელები? ეჰ, რა ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა! „სოფლელი ყმაწვილი კაცი“ — ეს ის პრობლემა არ არის, რომელიც იოლად შეიძლება უარყო.

რაგინდ ლამაზი, განუმეორებელი და კარგიც უნდა იყოს ეს კუთხე, რაგინდ გამჭირვალეც უნდა იყოს აქაური ჰაერი და რაგინდ ანკარაც — ჩხერის განთქმული წყაროს წყალი, ვაი, რომ ეს არ ქმარა იმისათვის, რომ მშობლიურ ადგილებს მიაჯაჭვო ახალგაზრდობა ჩვენს დაუდეგარ და დინამიკურ ხანაში.

ცხოვრებამ დიდ-პატარას ასწავლა მიზნების დასახვა, გეგმების შედგენა, შორეული მომავლის განჭვრეტა. ძველი ციხის ძირას მოჩხრიალე ჩხერიმელა-სავით სწრაფად მიქრის ახალი ცხოვრება ახალი ზნე-ჩვეულებებით, კანონებითა და საზრუნავით. დედიკოებს და მამიკოებს სურთ, რომ მათმა შვილებმა უმაღლესი განათლება მიიღონ. ვერც კი დავთვალეთ, „ჩხერის“ კოლმეურნეობის რამდენი ახალგაზრდა წევრი გახდა მასწავლებელი, მეტალურგი, ექიმი, აგრონომი თუ მელიორატორი.

რა დასამალია, მეტალურგს ძალზე გაუჭირდებოდა ჩხერში სპეციალობით მუშაობა. მაგრამ რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ამ კუთხეში ახალგაზრდებს, ცოდნით გამდიდრებულთ, ახალი ცხოვრებით ამადლებულთ, რა ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, ჩვენ რომ შეგვეძლოს თქმა „დაბრუნდით, ჩვენ თქვენთვის ძალზე საინტერესო საქმე გვაქვს!“.

.. ირაკლი მანჯავიძე, „ჩხერის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მოვალეა (გარეგან ასე გეგონება) კარგ გუნებაზე იყოს და ზემოდან ქვემოთ დასცქეროდეს ნაირ-ნაირ უსიამოვნებებს, რომლებიც მუდამ მოელის თავჯდომარეს. რაც გინდა იყოს, უკვე რამდენიმე წელია კოლმეურნეობა ორკონიკიძის რაიონში საუკეთესოთა შორის ჩააყენა. ეს ენერგიული კაცია, ეხერხება ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება, სიტყვას ქარს არ ატანს, იგი სრულიად გადაუჭარბებლად შეგვიძლია მივაკუთვნოთ იმ ბედნიერ ხელმძღვანელთა რიცხვს, რომლებსაც ხალხი თვითონ ეტანება. ირაკლი მანჯავიძე ბრძნულად ამბობს (ვფიქრობ, ეს მისი გამონათქვამი ბევრმა უნდა დაიხსომოს): ის, რაც არის, იმას კი არ უნდა შევადაროთ, რაც იყო, არამედ იმას, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, ეს ჭეშმარიტი პარტიული პოზიციაა. და თუ ამ პოზიციიდან შევხედავთ იმას, რაც არის...

ასე დაიწყო ბაასი სერიოზულ თემაზე — ყველაფერს ვართმევთ თუ არა მიწას, რისი მოცემაც შეუძლია?

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში არის სიტყვები, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩხერის დღევანდელ დღესთან: „ჩავუნერგოთ სოფლის მშრომელებს მაღალი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი და დინამიკური განვითარებისათვის“.

მაღალი პასუხისმგებლობა გულისხმობს იმის ნათელ შეგნებას, თუ რა უნდა გაკეთდეს ამა თუ იმ უბანზე დღეს, გაისად, ორი წლის შემდეგ, რომელი რეზერვები უნდა ჩავაყენოთ საერთო საქმის სამსახურში, რა ვიღონოთ ამისთვის.

კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 456 ოჯახი. აქ 129 შრომისუნარიანი კაცია, დიახ, მხოლოდ ეს ოცდაცხრა. ასეთი სტატისტიკით ვერ იამაყებ. კოლმეურნეობა წელიწადში ორას ტონა მოსავალს იძლევა და, რაკი გეგმას ასრულებს, მოწინავედ ითვლება.

მაგრამ მას ხომ გაცილებით მეტის მოცემა შეუძლია. რა ადასტურებს ამას? თუნდაც ის, რომ თავიანთ საკარმიდამო ვენახებში (მათი საერთო ფართობი კი საკოლმეურნეო ვენახების ნახევარზე (ოცამ მეტია) ჩხერელები გაცილებით მეტ მოსავალს იღებენ. არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა გეგეგონა, რომ საყოველთაოდ დაიმკვიდრა ადგილი უმაღლესმა შეგნებამ, ჩვენ თვალს ვარიდებდით ასეთ დისპროპორციას და საერთოდ გვერიდებოდა კიდეც ამ თემაზე ლაპარაკი, მით უმეტეს — წერა.

— ჩვენ არ შეგვიძლია კოლმეურნეობაში მევენახის შრომის ისეთივე სტიმულირება, როგორც, ვთქვათ, მეცხოველის შრომისა, — გვეუბნება ი. მანჯავიძე. — ფერმაში იმას მივიღებეთ, რომ თვეში ორას მანეთამდე ხელფასია. კაცმა იცის, თუ თავის საქმეს კარგად გაართმევს თავს, ბლომად მიიღებს. მევენახე კი რაგინდ გაისაჯოს, პირდაპირ ეტყვიან, ამდენს ვერ მიიღებს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენი მევენახის შრომა ვარაგითარ შემთხვევაში ვერ შეედრება ქართლელი თუ კახელი მევენახის შრომას — ჩვენს მთა-გორიან პირობებში სამუშაოთა მხოლოდ ოცაოდე პროცენტია მექანიზებული — ნათელი გახდება, რომ სტიმულირების ახალი გზები უნდა ვეძებოთ.

ჩემს წინაპრებს მაინცდამაინც არ უყვარდათ ბარში ჩასვლა. სახლაფორთო საქმე იყო და რიგიანად უნდა მომზადებულიყვნენ — მობრძანდით, დაბრძანდით, კარგია, რომ ჩამოხვედით, მოსკოვს დაგათვალიერებინებთ: ხვალ მუზეუმში წავიდეთ, ზეგ — თეატრში, მდინარეზეც გასეირნებთ კატარღით.

კიდევ უფრო შეეცბუნდნენ, ყველაზე თამამი მეუბნება:

— ყველაფერი ეგ, რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა და ხალისით გამოგყვებოდით ყველგან, მაგრამ იცი, არ გვცალია. ჩვენ კი... ისა... იმისთვის ჩამოვედით, ავეჯისთვის...

აბა, უარს როგორ ეტყვი თანასოფლელებს? მაგრამ, ძვირფასო ამხანაგებო, ორკონიკიძელო ვაჭრობის მუშაკებო, თქვენ რომ ერთი წელი ყოფილიყავით ჩემს ადგილას, დარწმუნებული ვარ, ცოტა უფრო ენერგიულად მოიქცეოდით, ცოტა მეტ ინიციატივას გამოიჩენდით, და არ აიძულებდით ჩვენებურებს ამოდენა გზაზე ეარათ, ამდენი ფული დაეხარჯათ იმისთვის, რასაც ამ ცოტა ხნის წინათ ფეფუნებს საგნებს უწოდებდნენ, ახლა კი უფრო მიწიერად, სამაგიეროდ უფრო ზუსტად საყოფაცხოვრებო ნივთებს უწოდებენ.

ჩვენ დავეჩვიეთ ჩვენივე დოყლაპიობა „გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს დავაბრალოთ“, აქოდა, ეს მოთხოვნილებანი ისე სწრაფად იზრდება, ვეღარ ვეწევით.

დაწევასაც ცოდნა უნდა, უნარი.

... მივყვები ჩხერის „პროსპექტს“ და შესმის მივიწყებული სიმფონია: ღორის ღრუტუნი, ძროხის ბღავილი, ქათმის კრიახი — მეტი პირუტყვი ჰყავთ ოჯახში, უფრო შეძლებულად ცხოვრობს ხალხი.

აქ ბინებში ნახავთ მაცივრებსაც, სარეცხ მანქანებსაც და თანამედროვე რადიომიმღებებსაც.

სცენა პროსპექტზე: გაზის بالონების დამტარებელი ავტომანქანა შეხვდა ყველგანმავალს, რომელზეც ტელევიზორი „რეკორდი“ იდგა. ტელევიზორები „რაღაცას უჩვენებენ“ მხოლოდ იმ სახლებში, რომლებიც ზედ მთის წვერზეა წამოდგმული და სადაც ყველგანმავლით თუ ახელთ. ამიტომ, როცა თბილისს „დინამო“ თამაშობს, „სოფლის მთელი საუკეთესო და შეგნებული ნაწილი“, შოფერ მურთაზასთან იკრიბება. თუ თვითონ რეისია, ცოლი კი ყანაში, კარი ღია: მიბრძანდით, დაბრძანდით და უყურეთ. თითქმის ყოველ ოჯახს აქვს ტელევიზორი, მაგრამ ელოდებიან, რომის აშენდება დიდი ხნის დანაპირები სარეტრანსლაციო სადგური. ჯერჯერობით კი... სტუმრად მურთაზთან!

ჩემი მეგობარი ვაჟა მეუბნება:

— იცი რა, თუ რაიმეს დაწერ, ორი რამ არ დაგავიწყდეს. რა თქმა უნდა, სარეტრანსლაციო სადგური საჭიროა — ჩუკოტკაზე მოსკოვს იღებენ, ჩვენ კი თბილისი ვერ მიგვიღია, თბილისს ფოსტამტბდან ჩემს სახლამდე კი სულ ორასი კილომეტრია. ჩვენს დროში უტელევიზორობა იქნება? მაგრამ მაინც ჯერ ხიდზე თქვი, ხიდზე.

როცა მრავალი ათეული წლის წინათ აქ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი რკინიგზა გაჭყავდათ, როცა კლდეებს წარაქვებით და ძალაყინებით ანგრევდნენ, ლა დინამიტით აფეთქებდნენ, ლანდაგის გასწვრივ ვიწრო, ორმოცდაათიოდე სანტიმეტრი სიგანის ქვით მოკირწყლული საქვეთო ბილიკიც გაიყვანეს, რამე უბედურება რომ არ მომხდარიყო გზებზე.

როცა რამდენიმე წლის წინათ მეორე ლიანდაგის გაყვანა დაიწყეს, საქვეთოო ბილიკი (რომელიც ლამის ას წლს ემსახურა ხალხს) გაიუქმეს. ახლა ორი შემადგენლობა რომ შეხვდეს ერთმანეთს, ქვეითს სხვა გზა არა აქვს, ფრიალოდან პირდაპირ ჩხერიმელაში უნდა გადაეშვას.

ჩხერელებმა რამდენიმე წერილი გაგზავნეს თბილისში, ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, მერე კი, როცა დარწმუნდნენ, რომ იქ მათი წერილი უყურადღებოდ დარჩა, — მოსკოვშიც. ითხოვდნენ, აღედგინათ ძველი ბოგა ჩხერიმელაზე, რომ

მეორე ზეტაღელვლი ... და, სანამ მეორე გზა გაჭყავდათ. რკინის ქალამანი ჩავიცვი, რკინის ჯოხი დავიჭირე და გზათა სამინისტროს სამმართველოებსა და სართულებს მივაშურე. მალე მაცნობეს, რომ მითითება მიუციათ ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობისათვის. ერთი თვის შემდეგ ჩხერში მართლაც ჩავიდა კომისია და კოლმეურნეებს ესაუბრა. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი გამოუცხადებია, ჩხერიმელაზე ხიდი თვითონ კოლმეურნეობამ უნდა გადოსო. მაგრამ კოლმეურნეობას ამდენი სახსრები არა აქვს...

...მოვდიოდი ჩხერიდან და საბაფხულოდ ვტოვებდი ჩემს თერმეტი წლის ბიჭს კირილეს, იქ, სადაც ბავშობა გამატარებია. ოდესღაც მამაჩემს დავყავდი ხოლმე იქვე ახლოდგბარე დევის ხვრელში, სადაც, როგორც ამბობენ, სსრ კავშირის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი პირველყოფილი ადამიანის სადგომი აღმოუჩენიათ. მამაჩემს უჩვენებდნენ ბეთხრებისას ნაპოვნ სხვადასხვა ქვის იარაღს, მერე მე ვათვალიერებდი ხოლმე, სოფელში დაბრუნებისას კი მიამბობდა, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რომელ ტომებს მისცეს დასაბამი, სად და სადამდე იყო მათი გავრცელების საზღვრები. პირველად სწორედ ჩხერში გავიგონე მამაჩემისგან ნათქვამი სიტყვა „ბასკები“.

... ეს-კი არის შემატყობინებენ, რომ ბასკებსა და ქართველებზე დაწერილი ჩემი რომანი, რომელის მრავალი ფურცელი ჩხერში დაიწერა, მადრიდში გამოსულა ესპანურად, ახლა კი თურმე ბასკურად თარგმნიან.

ჩხერიდან კი კირილეს წერილი მომივიდა:

„ქართულად უკვე უკეთ ვლაპარაკობ. აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. შენ არ იცი, რა კარგები არიან აქაურები“...

მე არ ვიცი?!

ალ. კიკნაძე.

სოფელი ჩხერი — მოსკოვი.

ჩხერის პაწაწკინტელა ციის ქვეშ

მწერლის უბის წიგნაკიდან

ქახალი ნამუშევრები

ს. ორჯონიკიძე, ფ. ძერჟინსკი და ნ. ლაკობა რუხის ციხესთან. მხატვარი — საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი თ. გოცაძე.

ქახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

ტრადიცია და თანამედროვეობა

ინგლისში, ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე დიდი წარმატების შემდეგ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი გუშინ, 8 სექტემბერს წარდგა თბილისელი მაყურებლების წინაშე. ახალ სეზონში თეატრის შემოქმედებითს გეგმებს „კომუნისტის“ კორესპონდენტს უზიარებს მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე როგვერტ სტურუა:

— ჩვენი ინტერვიუ რომ დაიბეჭდება, რუსთაველის თეატრის მთელი დასი უკვე კახეთის რაიონებში იქნება. ეს ალბათ ერთგვარი ხარკია სცენის ოსტატებისა სახელოვანი მევენახეების წინაშე, რომლებიც წელს ყურძნის არნახულ მოსავალს გვპირდებიან. ესეიგი, ფაქტობრივად, ახალ სეზონს კახეთში ვხსნით. იქ ერთ კვირას დავრჩებით, შაბათს კი ჩვენი მსახიობების ერთმა ნაწილმა თეატრის სცენაზე წარმოადგინა ა. გელმანის პიესა „ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი“ (თარგმანი გ. გოგიაშვილისა). ეს სპექტაკლი რეჟისორ გ. ანთაძის დებიუტია რუსთაველის თეატრში. მანვე უნდა განახორციელოს მუსიკალური სპექტაკლი — გ. ნახუცრიშვილის პიესა-ზღაპარი „ნაცარქექია“, რომელიც ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნება; მუსიკის ავტორია კომპოზიტორი ს. ბარდანაშვილი. წლის ბოლომდე მაყურებელს წარვუდგენთ აგრეთვე სამ ახალ დადგმას. ესენია: თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ (რეჟისორ მე გახლავართ), ნ. წულეისკირის „დავით ალმაშენებლის ქვა“ (რეჟისორი — ლ. იოსელიანი) და მოლიერის „ტარტიუფი“ (რეჟისორი — ნ. ხატისკაცი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მივუძღვნით სპექტაკლს „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ (პიესის ავტორია მ. შატროვი).

ამ სეზონის გეგმაში გვაქვს პიესა „ნიურნბერგის პროცესი“, რომელიც მ. კვესელავას წიგნის „ს ერგასის დღის“ მიხედვით შეიქმნა. რეჟისორი თ. ჩხეიძე, მიუხედავად მოუცლელობისა (გადაღებები აქვს და მთავარ როლს ასრულებს კინორეჟისორ რ. ჩხეიძის მომავალ ფილმში „რაიკომის მდივანი“), დაგვპირდა, რომ სპექტაკლი დროულად ჩაგვაბარებს. თეატრი ამ დადგმას დიდი სამამულო ომის დამთავრების 35-ე წლისთავს უძღვნის. წელსვე წარმოვადგენთ მ. ელიოზიშვილის პიესას, რომელიც მწერალმა ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ მიხედვით შექმნა.

ახალ სეზონში განზრახული გვაქვს უფრო მეტად დავტვირთოთ ჩვენი თეატრის მცირე სცენა. აქ ძირითადად ახალგაზრდა დრამატურგთა პიესები დაიდგმება. თეატრი დიდ ყურადღებას დაუთმობს ქართულ ორიგინალურ პიესებზე მუშაობას, გეგმაში გვაქვს კ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ალ. ჩხაიძის, ალ. სამსონიასა და სხვათა პიესები, რომელთაგან ზოგიერთის დადგმა შეიძლება ამ სეზონში ვერ მოესწროს, მაგრამ ერთი რამ კია — თეატრი ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებს უყურადღებოდ არ დატოვებს.

როგორც ხედავთ, ახალ სეზონში თეატრს ბევრი კარგი გეგმა აქვს, რომლებიც საინტერესო ხორცშესხმას მოელის. ჩვენ სხვაგვარად ვერც წარმოვგიდგენია, რადგან ამას გვიკარნახებს რუსთაველელთა ძველი დიდებული ტრადიციები და ახალი თვალსაჩინო წარმატებები, თანამედროვეობის ძალუმი სუნთქვა.

თბილისის საოპერო თეატრმა გაიმარჯვა

1979 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის კოლექტივი ცნეს თეატრალურ-სანახაობრივი საწარმოების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად და მას მესამე ადგილი მიაკუთვნეს. (საქინფორმი).

ველეტონი

თ ო მ ა

ჩუჩაული ატყდა, განყოფილებში კონდიციონერებს დგამენო. დირექტორის კაბინეტში ყველას ეკონდა ნაგებები კონდიციონერის ბუკეთე, ამიტომ სამუალო და რიგითმა თანამშრომლებმა ისე გაიარეს, რომ შრომის ნაყოფიერებამ შვიდი პროცენტით მოიმატა.

ახლა გახდა ეს სოციოლოგიური ამოკვლევის საგანი, თორემ ჩვენს დროში ყველამ იცოდა, რომ თუ ადამიანს კარგად მოეკვეა, გაბალისდება და უკეთ მუშაობს.

— ო! რა იქნება, ბიჭო? მაშინ ის რად უნდა ზაფხულში შვებულება, დაჯექი შენს სამუშაო ოთახში, დააყენე კონდიციონერი კოჯრის ტემპერატურაზე და...

— წყნეთში ფასები დაეცემა! — თქვა ყველაზე პატარა თანამშრომლის პირმა, რომელიც სამსაფრში ყოველ დაგვიანებაზე ამბობს, თუ მომხსნიან, დიდი რაა.

— ამდენი აგარაკის აშენებას, ითო კონდიციონერის ყიდვა არ ეკმარს? — იკითხა უმცროსმა მეგობერმა მუშაკმა, რომელიც თუმცა დიდი პროტექციით იყო მოყვანილი, მაინც იგვიანებდა და ეე ამბობდა — უმცროსი მაშინ ბრდება უფროსს, როცა თვითონ ბდენი საქმე აქვს, ვერ აუდისო.

მოგეხსენებათ იშვიათია ისეთი დაწესებულება, სადაც „უფროსი“, „მთავარი“, „მითითების მიმცემი“, „დირექტივის დამშვები“, „რევიზორი“ და „კონტროლიორი“ მეტი არ იყოს, ვიდრე რიგითი და აღმსრულებელი, ამიტომ ამ ოთახშიც, სადაც ეს დიალოგი მიმდინარეობდა, რამდენიმე „უფროსი“ მუშაკიც იჯდა, მაგრამ ეს მათ თითქოს არ გაუგონიათ, რადგან უფროსი იმის უფროსია, რომ იცოდეს, რომ უფროსის უფროსი არ დაილევა და, რაც საჭირო არ არის, არც უნდა დაინახოს და არც უნდა გაიგონოს!...

— კონდიციონერს კი არა, გაზიან წყალს გამოგიყვანენ!... თქვა თომამ.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ თომა საუბარში ჩაერევა, საქმე წაღმა არ წავა, სასაკეთოდ არაფერი დამთავრდება, კარგი არაფერი ითქმება!

იმედი გაქრება, მზის სხივი არ მოაღწევს!

მატარებელი არ მოვა!

თვითმფრინავი არ გაფრინდება!

გზა არ გაკეთდება!

მოსავალს ვერ მოვიწევთ!

მოსახსნელს ვინ მოხსნის!

დასანიშნს ვინ დანიშნავს!

შეჯიბრებას — ვერ მოვიგებთ!

და რა თქმა უნდა, ყველა მეტრთამეა.

ამიტომ ყველანი გავჩუმდით და სხვა ნეიტრალურ თემაზე გვინდოდა გადაგვეტანა საუბარი.

თომა ნებისმიერ საუბარს ასე იწყებს:

— Это было до войны... და მერე ამას რასაც გინდა მიაბამს (როგორც ახლა ამბიტურიენტების „შპარგალკებს“, ყველას ერთი და იგივე დასაწყისი აქვს!).

ჩვენმა ახალმა თანამშრომელმა, ენის მიტანაში შემჩნეულმა ამხანაგმა, რომელთანაც ყველა ვცდილობდით ცოტა გველაპარაკა, არ იცოდა თომას ამბავი, და სრულიად მოულოდნელად ჰკითხა:

— ბატონო თომა, თქვენი ნათესავი რომ ამბობდა, რა ქნა?

ქარიშხლის მოლოდინში ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამას არავინ ელოდა, ამას თვითონ თომაც არ ელოდა. ამიტომ დროის მოგების მიზნით საოვალე გაწმინდა, ფუტლარში ჩადო და გაიღიმა:

— Это было до войны... нет, вру! — წამოიყვირა და შეცდომა გასწორა, — во время войны, სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი კოწია ერისთავი შემოხვევით სადგურზე მოხვდა, იქ „ბეჟენცები“ ნახა, სკოლა ვის გაქვთ დამთავრებული, ჰკითხა, ოცი ბავშვი გადაარჩინა და იცით, რა ქნა?

ენის მიტანაში ეჭვმიტანილმა კითხვა შეაგება:

— საცალები დაურიგა?!..

— რას ამბობ, ამხანაგო!... ინსტიტუტში ჩარიცხა, ახლა? ახლა ყველა გამომცდელს შეკითხვები ორად აქვს დაჯგუფებული, ნაცნობებისათვის, — ადვილად რომ უპასუხონ, და უცნობებისათვის, რომ ვერ უპასუხონ!...

— პირველად ამბარდა?

— Что вы! — ჯერ კიდევ ხალათებს რომ აცმევდნენ და „კალპაკებს“ რომ ახურავდნენ ამბიტურიენტებს, იმ დროიდან ამბარ

ჩვენი ფოტოსტენდი



ზღვის მოტივი (სოხუმი)



ტყის ზღაპარი. (ზედაზენი)

ა. სააკოვის ფოტო.

ჯ ო რ ი

— ხმა დაირხა... თქვენ არ გაგიგიათ?

— გავიგე, მაგრამ ვერ დამიჯერებია.

— ნება თქვენია: გნებავთ — დაიჯერეთ, გნებავთ — ნუ დაიჯერებთ. ისე კი, იცოდეთ, უბრალოდ არაფერი არ ხდება ხოლმე...

მართლაც ისე, უბრალოდ, არაფერი არ ხდება.

ერთ-ერთ რაიცენტრში, რომელსაც რესპუბლიკაში საკმაოდ მოწინავე პოზიციები უჭირავს, ხმა დაირხა, თვრამეტი წლის ლ., პატივცემული შრომლების ქალიშვილი — ბუნებით ჭკუასუსტია და ჭურდიბის სამწუხარო მიდრეკილება აქვსო.

— რას ბრძანებთ?! — გაიოცეს ქალიშვილის ნაცნობებმა.

— რას და მართალს, — დინჯად მოუჭრეს ჯორის ავტორებმა და მოუყვანეს ერთმანეთზე უფრო სარწმუნო და დამამტკიცებელი საბუთები, ნაცნობებსაც ეჭვი შეეპარათ: ვინ იცის, სიმართლეს მართლაც მგავსო...

ამა წლის 21 ივლისს ქალიშვილმა, რომელსაც ჭკუასუსტობა და კლეპტომანია დასწამეს, თავის მოკვლა სცადა. ჯორი ახალი ძალით დაიძრა: „ხედავთ, განა ხალხი მართალს არ ამბობდა? განა ჭკუათმყოფელი კაცი თავს მოსაკლავად გაიმეტებს რაღაც ჯორის გამოო?“

ქვეყნად არაფერი არ ხდება ისე, უბრალოდ, ყველაფერს თავისი მიზეზი და შედეგი აქვს. ქალიშვილს ერთი ახალგაზრდა უყვარდა, იმასაც უყვარდა გოგონა, შემდეგ კი გული აიცრუა და მიატოვა. და საზოგადოებრივობის თვალში როგორღაც რომ გაემართლებინა თავი, პროფესიონალი ჭორიკნები მოიშველია. დიდხანს ისხდნენ, ითათბირეს, და შემდეგ ისხიერულით თვალები გაუბრწყინდათ, აზრი დაებადათ: აგრონომს ქალიშვილი ლ. ტყუილად როდი მიატოვა ინჟინერმა გ-მ., გოგონა ხომ ჭკუაზე, ცოტა არ იყოს, მწყრალად იყო.

აი კიდევ, მეორე მაგალითი — მეორე, ასევე საპელოვანი და მოწინავე რაიონიდან. „სპეციალისტი ვ. ავტორიტეტული, კომპეტენტური. მუშაკია, მაგრამ რა—ჭორები, დამამტკიცებელი საბუთი? რამდენიც გნებავთ! და მოედო ჯორი რაიონს, მოედო, როგორც ორპირი ქარი, და ყველგან, სადაც კი გადაივლიდა, მიჰქონდა ინფექცია — გრიპზე საშიში.

ექიმებმა, რომლებმაც თვრამეტი წლის ლ. გადაარჩინეს, ავადმყოფობის ისტორიაში ჩაწერეს: „ორგანიზმის ძლიერი მოწამლვა ოიდხსნარით“.

სპეციალისტ ვ.-ს მკურნალმა კარდიოლოგებმა დაასკვნეს: „ჯრცელი მოიკარდის ინფარქტი“...

ნუთუ ასეთი რამ კაცს კლავს?!

ნუ ვიჩქარებთ საყვედურებს და სულმდაბლობის დაბრალებას. ვკითხოთ ჩვენს თავს: განა ცილისწამებით თვით ადამიანის მოკვლას ლამობენ? არა. ისინი ცდილობენ სხვებს მოუსპონ ამ ადამიანისადმი ნდობა, ჩაუკლან მისდამი სიყვარული და გული აუცრუონ მასზე. ცდილობენ და, არცთუ იშვიათად, ეს გამოსდით კიდეც. კაცის გულიც ყველაფერს ვერ უძლებს.

არა, ცილისწამება არ კლავს მას. კლავს იმის შეგნება, რომ უძლურია დამტკიცოს თავისი სისპეტაკე. დაიცვას კეთილი სახელი ლაფისაგან, წრესგადასული ობივატელი რომ ასხამს. კლავს ფიქრი, რომ განუდგნენ ადამიანები, იწამეს შეუძლებლის შესაძლებლობა. არადა, ძნელია ცხოვრობდე ადამიანებს შორის და ვერ გრძნობდე მათს მოყვასობას. ზოგჯერ ისე ძნელია, რომ ვერ აგიტანია კაცს.

მართლაც, აუტანელია იმის შეგნება, რომ გართმევენ მთავარს, ზოგჯერ — ერთად ერთ შენს განძს — პატიოსან, კეთილ სახელს.

პატიოსანი, კეთილი სახელი ცილისწამების უცილობელი ობიექტია. კეთილი სახელი, და მაშასადამე — კეთილი საქმე, რომელსაც იგი განასახიერებს. ლაბავრის ჩაცემა ადამიანის კეთილი სახელისათვის — ეს ყოველთვის არის ლაბავრი იმ საქმისათვის, რომელსაც იგი აკეთებს, იდეალებისათვის, რომლებსაც ამკვიდრებს, რომლებითაც სულდგმულობს. და ვინაიდან საქმენი მისნი, იდეალები, ნორმები და პრინციპები სოციალური გარემოსადმია მიმართული, მასზე ზემოქმედებს და გარდაქმნის, ცილისწამების შეტევის ჭეშმარიტი ობიექტია საზოგადოებრივი შეგნება. დაამახინჯოს, ძირი გამოუთხაროს, გააუკუღმართოს იგი — აი, ცილისწამების ჭეშმარიტი მიზანი. ერთი დაუფიქრდნენ ამას ნაირნაირი ჭორების ატაცების მოყვარულნი, კარგად ჩაუკვირდნენ და მიხვდებიან: თავად ისინიც ბოროტგანწრახული სიცრუის მსხვერპლნი არიან.

ხმა დაირხა... ვისღა და რაღას არ ჭორავენ. ვერაფერი სანუგეშოა ერთი ტკბილი მწერლის დაკვირვებაც: სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის, თვალთვალის, ათასგვარი ზღაპრების თხზვისა და ჭორების დაყრის დიდი მოტრფიალენი მუდამეობს იყვნენ ყველა ხალხს შორისო. რა გვესაქმება ჩვენ ცილისმწამებელ იაგოსთან, როცა გვერდით გორგლად შეკრულა გესლისმფთხეველი სიცრუე?

მოდით, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ, ვცადოთ და უფრო ფართოდ შევხედოთ იმ ორ ამბავს, წელან რომ გიამბეთ. მოდით, ვიკითხოთ: რატომ იცავს კანონი ყოველი მოქალაქის კეთილ სახელს, როგორც საზოგადოებრივ კეთილს? რატომ სჯის მკაცრად ჩირქის მოცხების უმცირეს ცდასაც კი.

იმიტომ, რომ საზოგადოების ძლიერებისა და სიჯანსაღის წყაროა ყველა თანამოქალაქის ზნეობრივი ცხოვრება. საზოგადოებრივი შეგნებისათვის დამღუსველი იქნებოდა, მარტოოდენ ნეგატიურ მაგალითებს რომ ვუჩვენებდეთ. გავიხსენოთ არცთუ ისე შორეული წარსული: რამდენი, კაცმა რომ თქვას, საერთოდ წესიერი, მაგრამ მტკიცე იდეური და ზნეობრივ ბრწყინს მოკლებული ადამიანი შერიგებია სინდისთან კომპრომისს, რამდენს გაუმართლებია თავი ამორალური აღვირახსნილობის მაგალითებით: „მავანი და მავანი ამას შვრება. მავანი — იმას, მერა, მარტო კეთილი სახელით ვისულდგმულოო?“.

ცდილობდნენ გაეუფასურებინათ კეთილი სახელი — ადამიანისა თუ საქმისა, პრინციპებისა თუ იდეებისა, გადაესინჯათ მათი „ოქროს შინაარსი“, მოეხდინათ მათი დევალვაცია, რათა გაემართლებინათ საკუთარი დაცემა, საკუთარი კეთილი სახელის დაკარგვა, იდეალების ღალატი, მოქალაქეობრივ აქტიურობაზე უარის თქმა, მომხვეჭელთა და დამტაცებელთა ბანაკში გადადგომება.

მაგრამ ხელი მოეცარათ.

კეთილი სახელი — ადამიანისა თუ საქმისა, პრინციპებისა თუ იდეებისა, ხალხისა, რესპუბლიკისა, — ეს ის სიდიდეა, რომელიც არ ხურდავდება, ეს არის ღირებულება, რომელსაც დევალვაცია ვერაფერს აკლებს. და ეს ციპები სოციალური გარემოსადმია მიმართული, მასზე ზემოქმედებს და გარდაქმნის, ცილისწამების შეტევის ჭეშმარიტი ობიექტია საზოგადოებრივი შეგნება. დაამახინჯოს, ძირი გამოუთხაროს, გააუკუღმართოს იგი — აი, ცილისწამების ჭეშმარიტი მიზანი. ერთი დაუფიქრდნენ ამას ნაირნაირი ჭორების ატაცების მოყვარულნი, კარგად ჩაუკვირდნენ და მიხვდებიან: თავად ისინიც ბოროტგანწრახული სიცრუის მსხვერპლნი არიან.

ხმა დაირხა... ვისღა და რაღას არ ჭორავენ. ვერაფერი სანუგეშოა ერთი ტკბილი მწერლის დაკვირვებაც: სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის, თვალთვალის, ათასგვარი ზღაპრების თხზვისა და ჭორების დაყრის დიდი მოტრფიალენი მუდამეობს იყვნენ ყველა ხალხს შორისო. რა გვესაქმება ჩვენ ცილისმწამებელ იაგოსთან, როცა გვერდით გორგლად შეკრულა გესლისმფთხეველი სიცრუე?

მოდით, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ, ვცადოთ და უფრო ფართოდ შევხედოთ იმ ორ ამბავს, წელან რომ გიამბეთ. მოდით, ვიკითხოთ: რატომ იცავს კანონი ყოველი მოქალაქის კეთილ სახელს, როგორც საზოგადოებრივ კეთილსაც? რატომ სჯის მკაცრად ჩირქის მოცხების უმცირეს ცდასაც კი.

იმიტომ, რომ საზოგადოების ძლიერებისა და სიჯანსაღის წყაროა ყველა თანამოქალაქის ზნეობრივი ცხოვრება. საზოგადოებრივი შეგნებისათვის დამღუსველი იქნებოდა, მარტოოდენ ნეგატიურ მაგალითებს რომ ვუჩვენებდეთ. გავიხსენოთ არცთუ ისე შორეული წარსული: რამდენი, კაცმა რომ თქვას, საერთოდ წესიერი, მაგრამ მტკიცე იდეური და ზნეობრივ ბრწყინს მოკლებული ადამიანი შერიგებია სინდისთან კომპრომისს, რამდენს გაუმართლებია თავი ამორალური აღვირახსნილობის მაგალითებით: „მავანი და მავანი ამას შვრება. მავანი — იმას, მერა, მარტო კეთილი სახელით ვისულდგმულოო?“.

ცდილობდნენ გაეუფასურებინათ კეთილი სახელი — ადამიანისა თუ საქმისა, პრინციპებისა თუ იდეებისა, გადაესინჯათ მათი „ოქროს შინაარსი“, მოეხდინათ მათი დევალვაცია, რათა გაემართლებინათ საკუთარი დაცემა, საკუთარი კეთილი სახელის დაკარგვა, იდეალების ღალატი, მოქალაქეობრივ აქტიურობაზე უარის თქმა, მომხვეჭელთა და დამტაცებელთა ბანაკში გადადგომება.

მაგრამ ხელი მოეცარათ.

კეთილი სახელი — ადამიანისა თუ საქმისა, პრინციპებისა თუ იდეებისა, ხალხისა, რესპუბლიკისა, — ეს ის სიდიდეა, რომელიც არ ხურდავდება, ეს არის ღირებულება, რომელსაც დევალვაცია ვერაფერს აკლებს. და ეს უშუალოდ უკავშირდება ზნეობრივ უვარგისობას. ყველაფერი მარტივი სქემით გამოიხატება: „კაცი ცუდად მუშაობს, არ სურს, ან არ შეუძლია უკეთ იმუშაოს, აღარც საკუთარ თავს დაგიდევს და აღარც საქმეს, ვერ ართმევს თავს მოვალეობას და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ხსნისათვის მომართავს ცილისწამებას, რათა ჩირქი მოსცხოს იმას, ვინც სამართლიანად მოითხოვს, ამისათვის კი ყველაფერს კადრულობს, ყველაფერს იყენებს: „ავტორიტეტულ ცნობებსაც“ პროფესიული უნიათობის შესახებ, ჭუჭრუტანაში ჭყეტასაც და მოქალაქის ინტიმური ცხოვრების გარემოებათა ქექვას და საქვეყნოდ გამოტანასაც. ყველაფერი გამოდგება, ოღონდ დაუკარო ადამიანს ნდობა და აღზევდე მისი ავტორიტეტის ნანგრევებზე.

ავაია კაცი ცილისწამებას, ჩვეულებრივ, თავდაცვის იარაღად იყენებს. მაგრამ განა ჩვენივე ბრალი არ არის ზოგჯერ, რომ იგი თავდასხმის იარაღიც ხდება? საქმე, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, ყოველთვის მზად იყო ყველაფერი ისმინო და ყურად იღო, ირწმუნო, იმხელო ათასგვარ ჭორებსა და ხმებზე, მოცდე მათი გულისთვის და ამით ავნო სამუშაოს.

პირიქით, საქმე ეხება იმას, რომ ჩვენ მზად არა ვართ საკადრისი პასუხი გავცეთ ობივატელობის, მოშვებულობის ყოველგვარ გამოვლინებას, ფუფუნებლინობასა და უწესრიგობას, საქმე ეხება იმას, რომ არ გვყოფნის უნარი პარტიული, მოქალაქეობრივი პოზიციებიდან პრინციპულად განვსაჯოთ კოლეგების ავ-კარგი — აშკარად, საჯაროდ გავაკრიტიკოთ მუშაობის, შრომის ორგანიზაციის, საშემსრულებლო საქმიანობის შეცდომები და ხარვეზები ისე, რომ არ გვეშინოდეს ვითუ სიმშვიდის ამფორიაქებლობა, ამბანაგობის ყალბად გაგებული პრინციპების დარღვევა დამწამონო.

მაინც, რა ხშირად არის ხოლმე რომ სწორედ „ინტრიგანობის“ დაწამების შიში მიაჯაჭვავს ზოგიერთ ამხანაგს თათბირებსა და კრებების სავარძლებს, და ამ შიშის გამო ხმა ვერ ამოუღიათ, საჯაროდ ვერ დაუგმიათ ბოროტება. რა ხშირად არის, რომ სწორედ ასეთ, საყოველთაო მდუმარების ატმოსფეროში იბარტყებს ხოლმე ათასგვარი ჭორი და ხმები, წასისიანება, ცილისწამება და ბეზღი. და რა ხშირად ხდება მათი მსხვერპლი ის, ვინც პირადი სიმშვიდის მოსაზრებით დუმილი ამჯობინა.

ჭორი ყოველთვის ხულიერი სიღატაკის კუნჭულებში იბადებოდა. იყო დრო, როცა ზოგ ჩვენგანს ხელს აძლევდა აი ასეთ კუნჭულებში შეყუჟვა, როცა ყოფას ყოფიერებაზე მაღლა აყენებდნენ. გარდამქმნელმა სიომ გამოხეტა კუნჭულებიდან მრავალი წლის ნაგავი, გააცოცხლა ჰაერი, მოიტანა წამოწყებანი, რომლებმაც ბევრი რამ შეცვალეს მთელი კოლექტივების ცხოვრებასა და ცალკეული ადამიანების შეგნებაში.

ამაო და განწირულია ზოგ-ზოგების ცდები თავს მოახვიონ საზოგადოებრივ აზრს ხულიერი პროვინციალიზმის „ფილოსოფოსი“.

თ. მამალაძე.

(საქინფორმი).

სად, რა, როდის

გუშინ, გუშინწინ

უნივერსიადა. მეხიკოში გრძელდება სტუდენტ სპორტსმენთა შეჯიბრებები. საბჭოთა წყალბურთელებმა შერჩევით ტურში ბოლო შეხვედრა იტალიელებთან გამართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:5. ლენინგრადელმა სერგი რუსინმა ყველას აჯობა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში. უნიფორსიადის არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები.

ფეხბურთი. იაპონიაში დამთავრდა იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს არგენტინელებმა ანგარიშით 3:1 და მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც მათ მოიპოვეს.

ბადრაკი. ლატვიის დედაქალაქ რიგაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ასპარეზობა. მეორე ტურში მაილსმა (ინგლისი) დაამარცხა ციშკოვსკი (სსრ კავშირი), ტალმა (სსრ კავშირი) — პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ტარიანმა (აშშ) — მეიანსი (აშშ), რიბლიმ (უნგრეთი) — ბუაზზი (ტუნისი), გეორგიუმ (რუმინეთი) — კუზმინი (სსრ კავშირი), ლუბოევიჩმა (იუგოსლავია) — გრინფელდი (ისრაელი). დაზავდნენ ადორიანი (უნგრეთი) და როდრიგესი (ფილიპინები). მესამე ტურში ტალმა დაამარცხა რომანიშინი (სსრ კავშირი), ლარსენმა (დანია) — მეიანსი, ადორიანმა — ლუბოევიჩი, რიმსდეიკმა (ბრაზილია) — გრინფელდი. დაზავდნენ რიბლი და ტარიანი, დანარჩენი პარტიები გადაიდო. სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს ლარსენი. ორ-ორი ქულა აქვთ ტალს, რიბლის და ადორიანს.

სროლა. ლვოვში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. 50 მეტრზე ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში (60 ასასროლა) ფინელმა პ. პალოკანგასმა ყველას აჯობა (577 ქულა — მსოფლიო რეკორდის განმეორება). საბჭოთა მსროლელთაგან საუკეთესო იყო ა. მელენტიევი (569 ქულა), რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა სოხუმელი პპორტსმენი მ. ჯაჯავა.

ველოსიპორტი. საფრანგეთის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველოსრბოლა „ტურ დე ფრანსი“. ოთხი ეტაპის შემდეგ საბჭოთა ნაკრები პირველ ადგილზეა და მეორე ადგილზე მყოფ ბელგიელთა გუნდს ათ წუთზე მეტით უსწრებს. პირად ჩათვლაში რბოლის ლიდერია კუიბიშეველი საიდ ჰუსეინოვი —13:14.27. მას ერთი წამით ჩამორჩება ლენინგრადელი სერგი მოროზოვი.



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

10 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაგარინი-ბორისი“ და „ჩუკოტკის მარში“, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „გულკა“, „საოცარი კატა“ (ფ.), 18.15 — მოსწავლეთათვის „კოცონი“ — სატელევიზიო პროგრამა (ფ.), 19.05 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება, მხატვრული ფილმი „ბალე გაზაფხული მოვა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „მუსიკალური ხობი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“, დოკუმენტური ფილმები „საზღვარი და დრო“, „მე, აგომშავალი“, „ციმბირი“ (ფ.), 17.40 — განცხადებები (ფ.), 17.45 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „ერამი ყვითელი ფოთლებისა“ (პირველი და მეორე ნაწილი).

11 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — განცხადებები (ფ.), 17.25 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მილიონი ღიმილისათვის“ (ფ.), 17.55 — მოსწავლეთათვის — „პირველი ზარი“, 18.40 — ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაიკალიდან ბუბუკუზულამდე“ (ფ.), 19.00 — „ბიყვარულს უშენებია“. თელავის რაიონი, 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „მომძე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ (ფ.), 21.00 — „ირაკლი აბაშიძის პოეზიის საღამო მოსკოვში“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 22.35 — „ირაკლი აბაშიძის პოეზიის საღამო მოსკოვში“ (ჯაჩრელიანი. ფ).

მეორე პროგრამით: 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.50 — განცხადებები (ფ.), 17.55 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზავერი“, 18.35 — ქართული მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“.

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დირექტორი“, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — განცხადებები (ფ.), 17.25 — მოლდავეთის, ბელორუსიისა და საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების გამოსვლა (მ.), 17.40—„ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოქმედი ადამიანი“, 18.00 — „წინამძღოლი“ (გამმეორებული), 18.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეთიოპიის აგგოგრაფი“. — ეთიოპიის რევოლუციის მე-5 წლისთავის გამო (მ.), 19.30 — „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამა სადაღაქში“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — ევროპის პირველობა ფეხბურთში საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შესარჩევი მაგრი (გადმოცემა საბერძნეთიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „საოპერო სეზონის გახსნა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — კონცერტი, 18.35 — განცხადებები (ფ.), 18.40 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მხატვრული ფილმი „ჩემი კეთილი მამა“ (ფ.),

13 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ (ფ.), 17.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ბალეტმეისტერი“ (ფ.), 17.35 — „ბავშვებისათვის „ზღაპრიგამოცანა“ (ფ.), 17.55 — კინონარკვევი, 18.05 — „საერთაშორისო ღღეური“ (ფ.), 18.35 — საგელევიზიო ფილმი, 18.45 — „პასუხი ბელეზმაურებელთა შეკითხვებზე“, 19.15 — „სპორტული მიმოხილვა“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ერერი ბელეზმაურებელი ოლიმპიადა“. ბერლინი. ფ.), 21.15 — „ბოლოდროინდელი ოლიმპიადა“. ფ.), 21.30 — „ბუბერი ბელეზმაურებელ ფილმი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ფარდის ამდენ წინ“. რეპორტაჟი მარეგანიშვილის თეატრიდან (ფ.)

მეორე პროგრამით: 17.15 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცეროდენა ფილიპი“ (ფ.), 18.15 — „ბავშვებისათვის“ (ფ.), 18.20 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეროვნული ანსამბლი“ (ფ.), 18.50 — „ბავშვებისათვის“ (ფ.), 19.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ცემენტი“. პირველი სერია (ფ.).

14 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჟუბერური ქორწილი“ (ფ.), 17.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოსტატთა ქალაქი“, 18.20 — განცხადებები (ფ.), 18.25 — „იცოდე, სამშობლოგ!“ (ფ.), 19.10 — „ადამიანი და გარემო“, „ზვალინდელ დღეზე ფიქრით“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული სცენის ოსტატები“. მარიამ ბაუერი (გამმეორებით. ფ.), 21.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.30 — „საუბრები ლიტერატურაზეზე“. „მწერალი, მკითხველი, კრიტიკოსი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ფარდის ამდენ წინ“. რეპორტაჟი მარეგანიშვილის თეატრიდან (ფ.)

მეორე პროგრამით: 17.15 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცეროდენა ფილიპი“ (ფ.), 18.15 — — განცხადებები (ფ.), 18.20 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საგელეზიო ახლობელი“ (ფ.), 18.50 — საგელეზიო მხატვრული ფილმი „ცემენტი“. მეორე სერია (ფ.).

15 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „ეი-ნი შვილი ვარ, მოსკოვო“ (ფ.), 10.35 — მუსიკალური სპექტაკლების სცენები (განმეორება. ფ.), 11.25 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ვაშლის გემო“, 12.30 — „ლილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 13.40 — „ოღერის ანსამბლი „გორი“, 14.10 — კინონარკვევი, 14.20 — „ვერნისაჟი“ (ფ.), 14.50 — ქართული საგელეზიო დოკუმენტური ფილმი „სიგყვა თქმული კახეთზე“ (ფ.), 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 16.30 — „მეც თბილისელი ვარ“ (ფ.), 17.30 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — დოკუმენტური ფილმი, 18.05 — მოსწავლეთათვის — „სოფლის ჩანახატები“, 18.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „სპარტაკი“. ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინოჟურნალი, 20.45 — გაზეთი „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველის ი. ტუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ფარდის ამდენ წინ“. რეპორტაჟი მარეგანიშვილის თეატრიდან“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 14.40 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 15.30 — საგელეზიო დოკუმენტური ფილმი „უნიკალური ავგომობილები“, 15.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „შეგიკიცა ქარბუქში“.

16 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — საგელეზიო დოკუმენტური ფილმები: „მოთხრობა მწვანე სანლზე“, „მამისეული ტყე“, 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „ცეროდენა ეკანი“, 11.30 — „კინოფიშა“, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — მულტიპლიკაციური ფილმი „იაბოლიგი და ბარმალეი“, „მოპარული მზე“ (მ.), 12.40 — „ლეს ტყის მუშაკის ლეკა“ (მ.), 13.00 — „მუსიკალური ალბომი „ციოსკი“ (მ.), 13.30 — დოკუმენტური ფილმი, 14.05 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ (ფ.), 14.50 — „ჩვენი სოფელი“. საგელეზიო პროგრამა, 15.35 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.05 — „თქვენი თხოვნით“ — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.45 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „შექი სულისა“, 19.55 — მუსიკალური შესვენება, 20.00 — „კინოს სამყაროში“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბაყის ჯადოქარი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ფეგორორიის ზეიმი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.20 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მხატვრული ფილმი „მწვარე ნაყოფი“ (ფ.), 16.20 — კონცერტი, 17.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელეზიო დოკუმენტური ფილმი „36 სიხარული“ (ფ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდიდანვე დაგეგმეთ ეს დღე!

ნახეთ ტელევიზიით



მხატვრული ფილმები: 11.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „**მხიარული ნიზმარი ანუ სიცილი და ცრემლები**“ (საქ. ტ. I პრ.), 14.00 — კინოოფიშა (საქ: ტ. I პრ.), 16.30 — „**უფინეშო რბოლა**“ (საქ. ტ.II პრ.), 18.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „**ბალზაკის დიდი სიყვარული**“, მე-4 სერია (ც. ტ. IV პრ.), 21.55 — „**ზაპრაზადა**“ მე-3 ფილმი (ც. ტ. IV პრ.), 22.40 — „**წინადღე**“ (ც. ტ. IV პრ.).

მულტიკლიკაციური ფილმები: 11.00 — ცეროდენას ეკრანი (საქ. ტ. I პრ.), 18.00 — მულტფილმი (ც. ტ. I პრ.).

მუსიკა: 10.05 — ბულგარეთის მოცეკვავეთა ანსამბლის კონცერტი (ც. ტ. I პრ.), 14.30 — მუსიკალური ციოსკი (საქ. ტ. I პრ.), 15.45 — საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი (ც. ტ. IV პრ.), 15.50 — მუსიკალური ფილმი „ბახის კონცერტები“ (საქ. ტ. II პრ.), 18.15 — თქვენთვის, სოფლის მშრომელებო — კონცერტი (ც. ტ. I პრ.), 19.00— ბულგარეთის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (ც. ტ. IV პრ.), 20.00 — ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (ც. ტ. I პრ.).

სპორტი: 20.15 — მსოფლიოს ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში — ფინალი (ც. ტ. IV პრ.), 21.15 — სსრ კავშირის თასი საწყლოსნო-სათხილამურო სპორტში (ც. ტ. IV პრ.).

კინოთეატრებში

ხევსურული ბალადა (კომკავშირელი — 10, 16), **სკოლის დირექტორის დღიური** (ამირანი — 10), **რესპუბლიკა შკოდი** (მეგობრობა — 13), **აფრიკული სპილო** (ლენინდი — 10), **კუზნაინი კვიცი** (სპარტაკი — 10), **ალმანზორის ბეჭდები** (საქართველო — 11, 13), **ველურ დასავლეთში** (ნაკადული — 10.30, 12), **ამბობენ ბარიკადა** (ბათუმი — 12, 14, 18, 20, 21.40), **სამსახურებრივი რომანი** I-II სერია (ყაზბეგი — 13, 16, 19, 21.30), **ინკასატორის ჩანთა** (ნაკადული — 15, 17, 19, 21), **გაქცევა** (რუსთაველი — 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, მეგობრობა — 15, 17, 19, 21, მშენებელი — 12, 13.30, 15, 17, 19, 21), **თვალი არ მოაშორო** (ოქტომბერი — 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, ამირანი — 12, 14, 16, 18, 22, საქართველო — 12, 14, 16, 18, 20, ისანი — 11, 13, 15, 17, 19, 21, თბილისი — 17, 19, 21), **შურისძიება და კანონი** I-II სერია (სპარტაკი — 13, 16, 18.30, 21).

თეატრებში

**რუსთა